ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

1-1790

განკარგულება №_____

5 "____" ოქტომბერი 2016 წ.

ქ. თბილისში, თელეთში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.03.12.630) სასმელი წყლისსატუმბი სადგურის განთავსების მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2016 წლის 8 სექტემბრის სხდომის #46 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, თელეთში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.03.12.630) სასმელი წყლის სატუმბი სადგურის განთავსების მიზნით გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.
2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.
4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი,
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის
პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ლაშა აბაშიძე

ქ. თბილისი 0160, ვ. ვარტაგავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200